ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის
საკონკურსო კომისიის
2017 წლის 8 ნოემბრის სხდომის
შემაჯამებელი ოქმი

**კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:** ვლადიმერ მინაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), თამარ ლომიძე, თამარ პაიჭაძე, ქეთევან სიხარულიძე (კომისიის მდივანი).

ავადმყოფობის გამო, სხდომას არ ესწრებოდა კომისიის თავმჯდომარე, მიხეილ ქავთარია, რის გამოც სხდომა მიჰყავდა თავმჯდომარის მოადგილეს, ვლადიმერ მინაშვილს.

**დღის წესრიგი: კომისიის:** კომისიის მუშაობის შედეგების დამტკიცება.

საკონკურსო თანამდებობზე თანამშრომელთა ასარჩევად საარჩევნო კომისიამ 2, 3 და 8 ნოემბერს გამართა სხდომები (ოქმები თან ერთვის), რომლებზედაც კომისიამ განიხილა კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობა მოთხოვნილთან; შეიმუშავა დამატებითი კრიტერიუმები, ერთ ვაკანსიაზე წარმოდგენილი თანაბარი მონაცემების კონკურსანტების შესარჩევად; კონკურსატთა საბუთები განიხილა სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულთა მიხედვით.

1. **ქართული ლიტერატურის** განყოფილებაში გამოცხადებული იყო მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის 4 ვაკანსია, ათი წლის ვადით.
შემოვიდა შემდეგი განაცხადები (განცხადების შემოტანის თანმიმდევრობით):

1. მაია ნინიძე
2. ამირან არაბული
3. დარეჯან მენაბდე
4. მაია ჯალიაშვილი
5. საბა მეტრეველი

ოთხ საშტატო ერთეულზე შემოტანილი იყო ხუთი საკონკურსო განაცხადი. კომისიის მიერ დოკუმენტაციის დეტალურად შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ მაია ნინიძის, დარეჯან მენაბდისა და მაია ჯალიაშვილის წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულად აკმაყოფილებს ძირითად საკონკურსო მოთხოვნებს: არანაკლებ 3 მაღალრეიტინგული, რეცენზირებული სამეცნიერო პუბლიკაცია, მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებსა და სამეცნიერო საგრანტო პროექტებში.

რაც შეეხება კიდევ ორ კონკურსანტს, ამირან არაბულსა და საბა მეტრეველს, მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს სავალდებულო საკონკურსო კრიტერიუმებს. კერძოდ, არც ერთ კანდიდატს არ აღმოაჩნდა სამი სავალდებულო პუბლიკაცია მაღალრეიტინგულ, რეცენზირებად სამეცნიერო კრებულებში, რაც აუცილებელი პირობაა მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის ვაკანსიის დასაკავებლად (თსუ რექტორის ბრძანება №1999/01-01, 10.09.2017). ვერც ერთი მათგანი ასევე, სრულად ვერ აკმაყოფილებს საკონკურსო კომისიის მიერ პირველ სხდომაზე შემუშავებულ დამატებით კრიტერიუმებს თანაბარი მონაცემების კონკურსანტთა შესარჩევად (იხ. კომისიის 2 ნოემბრის სხდომის ოქმი), კერძოდ, სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობას.

ღია კენჭისყრის შედეგად, ქართული ლიტერატურის განყოფილების ვაკანტურ სამეცნიერო თანამდებობებზე არჩეულ იქნენ:

1. მაია ნინიძე
2. დარეჯან მენაბდე
3. მაია ჯალიაშვილი

ერთი საშტატო ერთეულზე კომისიამ კანდიდატი ვერ შეარჩია.

2. **ლიტერატურის თეორიისა და კომპარატივისტიკის** განყოფილებაში გამოცხადებული იყო მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის 2 ვაკანსია, ათი წლის ვადით.

შემოვიდა შემდეგი განაცხადები:

1.ირაკლი კენჭოშვილი
2. თამარ ბარბაქაძე

ღია კენჭისყრის შედეგად, ლიტერატურის თეორიისა და კომპარატივისტიკის განყოფილების ვაკანტურ სამეცნიერო თანამდებობებზე არჩეულ იქნენ:

1.ირაკლი კენჭოშვილი
2. თამარ ბარბაქაძე

3. **ფოლკლორის სამეცნიერო** განყოფილებაში გამოცხადებული იყო მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის 1 ვაკანსია, 10 წლის ვადით.

შემოვიდა შემდეგი განაცხადი:

1.ზაზა აბზიანიძე

ღია კონკურსის შედეგად, ფოლკლორის სამეცნიერო განყოფილების ვაკანტურ სამეცნიერო თანამდებობაზე არჩეულ იქნა:

1.ზაზა აბზიანიძე

4. **გალაკტიონოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრში** გამოცხადებული იყო მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის 2 ვაკანსია, მათ შორის ერთი უვადოდ, ერთი კი ათი წლის ვადით.

შემოვიდა შემდეგი განაცხადები:

1. ლევან ბრეგაძე (უვადოდ)
2. როსტომ ჩხეიძე (ათი წლის ვადით)

ღია კონკურსის შედეგად, გალაკტიონოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ვაკანტურ სამეცნიერო თანამდებობებზე არჩეულ იქნენ:

1. ლევან ბრეგაძე (უვადოდ)
2. როსტომ ჩხეიძე (ათი წლის ვადით)

5. **რუსთველოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრში გამოცხადებული იყო** მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის 1 ვაკანსია, უვადოდ.

შემოვიდა შემდეგი განაცხადი:

1. მაკა ელბაქიძე

ღია კონკურსის შედეგად, რუსთველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ვაკანტურ სამეცნიერო თანამდებობებზე არჩეულ იქნა

1. მაკა ელბაქიძე

თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის საარჩევნო კომისიამ ღია კონკურსით, ერთხმად (მომხრე -4, წინააღმდეგი -0) მიიღო გადაწყვეტილება და დაამტკიცა არჩევნების შედეგები, განყოფილებების მიხედვით:

1. **ქართული ლიტერატურის განყოფილება:**
    1. მაია ნინიძე
    2. დარეჯან მენაბდე
    3. მაია ჯალიაშვილი

კომისიის გადაწყვეტილებით, მეოთხე საშტატო ერეული დარჩა ვაკანსიად, რომელზეც მოგვიანებით უნდა გამოცხადდეს განმეორებითი კონკურსი

**2. ლიტერატურის თეორიისა და კომპარატივისტიკის განყოფილება:**

მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის 2 საშტატო ერთეული, ათი წლის ვადით:

1. თამარ ბარბაქაძე;
2. ირაკლი კენჭოშვილი.

**3. ფოლკლორის განყოფილება**

მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის 1 საშტატო ერთეული, ათი წლის ვადით:

1. ზაზა აბზიანიძე

**4. გალაკტიონოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი:**

მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის 1 საშტატო ერთეული, უვადოდ:

1. ლევან ბრეგაძე

მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის 1 საშტატო ერთეული, ათი წლის ვადით:

1. როსტომ ჩხეიძე

**5. რუსთველოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი:**

მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის 1 საშტატო ერთეული, უვადოდ:

1. მაკა ელბაქიძე

კომისიის წევრები:

9.XI.17